№ 205
კვირა, 24 სექტემბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 205
კვირა, 24 სექტემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

„ივერია“
გამოვა 1896 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი.
კვირას, 24 სექტემბერს,
ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
ქ. ბ. ავალიშვილისა, ბ-ნთ აბაშიძის, ა. კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით, ქ-ნის ნ. ჩხეიძისა და კ. ჩხეიძის სადებიუტოდ
**სამშობლო.**
ისტორიული დრამა 5 მოქმდ. დ. ერისთავისა
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის კუპონები ლოჟების უკან 65. კ.
დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი ვ. ალექსევ-მესხიევი.
ადმინისტრატორი მ. კვალიაშვილი.

ექიმი
**ი. ს. ელიაშვილი**
გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზედ, პოპოვის სახლებში, № 29, სასტუმრო „იტალიის“ პირდაპირ. ავადმყოფებს მიიღებს კვლავინდებურად.
(10—5).

**მზრუნველი ქუთაისის პირველდაწყებითის სამეურნეო სასწავლებლისა** ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში მოსწავლეთა მისაღები ეგზამენები დანიშნულია ოქტომბრის 16-ს და 17-სა დღესა.
(3—6—2).

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

**ტფილისის საბაღოსნო სკოლაში**
მისაღები ეგზამენები დანიშნულია
16 ოქტომბრისათვის.
თხოვნები მიიღება 14 ოქტომბრამდის.
(3—1878—2)

**წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია **ამხანაგობის საზოგადო კრება** განსახილველად შემდეგის საგნებისა:
1. ანგარიში „ქართველთა ამხანაგობის“ მოქმედებისა 1894 წელსა.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1894 წ. ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო ანგარიში (სმეტა) შემოსავლისა და გასავლისა 1895 წ.
კრება იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.
კრებაზედ დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრთ.

სურათები
მეფე ერეკლე მეორისა, შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, რაფაელ ერისთავისა და ეგნატე ნინოშვილისა
ისყიდებიან:
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, განოვსკის ქუჩაზედ.
ფასები:
კარდონზე: მეფე ერეკლესი, ილია ჭავჭავაძისა და რაფაელ ერისთავის სურათები ექვს-ექვსი შაურია, შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილისა ხუთ-ხუთი შაური. ილია ჭავჭავაძის სურათი თხელ ქაღალდზე ღირს ხუთი შაური. ნინოშვილისა—სამი შაური, რუსთაველისა, ერისთავისა და ერეკლეს სურათები თითო აბაზი.

ივანე ზოძაშვილისა და გიორგი ქუმსიაშვილის მოთავეობით
ისყიდება
**წმინდა მატყლი**
ფშაველებისა და თუშებისა. მატყლის საწყობი იმყოფება ავჭალის ქუჩაზედ, ივანე კაზაკოვის შენობაში, № 93.
(5—1869—5).

## ახალი ამბავი

—

*** გუშინდელ ნომერში დასახელებულ არტისტების გარდა ამ სეზონის ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ. ეფ. მესხისა (გიორობისთვის პირველ რიცხვებში) და ქ-ბ. გაბუნია-ცაგარლისა. ამასთანავე ჩვენ გვატყობინებენ, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ თავ. სუმბათაშვილს (იუჟინს) სთხოვა მისი ახალი პიესა კავკასიის სამხედრო ცხოვრებიდან იმ აზრით, რომ ეს პიესა რუსულად მოსკოვში და ქართულად ტფილისში ერთსა და იმავე დღეს იქმნას წარმოდგენილი.

დღეს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, სეზონის დასაწყებად წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“. მეოთხე მოქმედება ამ დრამისა, როგორც ჩვენ გვითხრეს, დიდის ცვლილებით იქნება წარმოდგენილი.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას ბ. ქანანოვმა გადასცა განსახილველად ამ 40 წლის წინად შედგენილი ბ. ყორღანიშვილის მიერ რუსულ-ქართული ლექსიკონი. ბ. ყორღანიშვილი იყო ქართულის ენის მასწავლებლათ ჯერ ტფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებელში და შემდეგ, როდესაც გიმნაზია დაარსდა, დანიშნეს იმავე ენის მასწავლებლად. ლექსიკონი ძალიან ვრცლად არის შედგენილი. საზოგადოება განიხილავს და თუ სასარგებლოდ სცნო, კიდეც გამოსცემს.

*** გელათის ეზოში ეპირებენ დავით აღმაშენებლის საფლავის განახლებას. გეგმა ახალის საფლავისა უკვე შედგენილია. ამ გეგმით მთელი იატაკი უნდა იყოს მარმარილოსი, შუა ალაგი ამაღლებული იქნება. სამი ადლი სასაფლაოს ქვა, მარმარილოსავე, დაედება ამ ამაღლებულ ალაგს და ზედ ქართულად, ოქროს ასოებით, წარწერილი ექნება მოკლედ დავით აღმაშენებლის ბიბლიოგრაფია თავით, კედელზედ იქნება მისვენებული სამი ადლის სიმაღლე ბრონძით გამოქანდაკებული სახე თვით დავით აღმაშენებლისა.

*** 22 ამ თვეს, საღამოს ექვს საათზედ, იუნკერთა სასწავლებელში მივიდა პოდპორუჩიკი ერევნის პოლკისა აკინფიევი და დარაჯის პირით გამოიხმო იუნკერი აგაპიევი. აკინფიევი და აგაპიევი ერთ საათს ლაპარაკობდნენ გაცხარებით; ბოლოს აგაპიევი გაიქცა და სასწავლებლის კიბეზედ აირბინა, მაგრამ გზაში დაეწია აკინფიევი და რევოლვერი დასცა უკანიდგან. ტყვია მოხვდა მარცხენა ბეჭს დაბლა და გულთან გაჩერდა. მძიმე დაჭრილი იმ წამსვე წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, დამნაშავე დააპატიმრეს.

*** სახელმწიფო ქონებათა მმართველს გამრეკელოვს აღუძრავს კითხვა, რომ მთლად ტფილისის გუბერნიაში ხუთის წლით აეკრძალოს ნადირობა თურაჯსა, ჯეირანსა და კაკაბზედ. ხოლო მათ, ვისაც დავალებული აქვს ადევნონ თვალ-ყური

---

## ფელეტონი

—

### ელენე.

მაღალ მთიდგან ნიავი ჰბერს,
ძირს აღელვებს ტურფა მდელოს
და ბუდეში ჩიტს აღვიძებს,
რომ ხმა ტკბილი დაამღეროს.
ბალახს თავი დაუხრია,
თრთის, კანკალებს დილის ცვარი,
„შავის ტყიდგან“ გამოისმის
მხეცთ ყვირილი შესაზარი.
ხალხში ხმაა, ვითომც ამ ტყეს
ჰპატრონობდეს ეშმა-ალი,
ბევრს უნახავს თმა გაშლილი
აქ წყაროს პირს ტურფა ქალი.
უდაბური რამ არის ტყე,
თვით ადგილი მიუვალი,
აღმოსავლით მთა სდარაჯობს,
დასავლეთით კლდეა სალი.
აქ ამ კლდეზედ დანგრეული
სდგას ტაძარი ძველის-ძველი,
მოწიწებით პირჯვარს იწერს
გამვლელი და გამომვლელი...
დილა არის... საიდუმლოდ
ტყე ჩურჩულებს და შრიალებს,
მაღალ მთიდგან წამოსული
ორბი თავზედ დასტრიალებს.
აგერ მის პირს ფეხ-აკრეფით
გამოვიდა ვიღაც ქალი,
ჯერ-კი შეჰკრთა, მერე წყნარად
მიმოავლო ირგვლივ თვალი...
ფეხ-შიშველას ტანს ნახევრად
უფარავდა სურო ტყისა,
კოჭებამდის თმა დაჰკრავდა,
სახე ჰქონდა აჩრდილისა;
იქავ ნაძვზედ გადიხარა,
დააშტერა თვალი წყაროს,
ვერა ჰგრძნობდა, თუ სად იყო,
იმ ქვეყნად, თუ აქ სამყაროს...
დიდხანს იდგა უძრავადა,
დასცქეროდა წყლისა დენას,
ლაწვს ცრემლები დასდიოდა
არ ანძრევდა ბაგე-ენას.
უცებ შეჰკრთა, გააჟრჟოლა,
შეჰკრა თვალი მაღალს მთასა,
ორივ ხელი გაშმაგებით
დაიტაცა გაშლილს თმასა,
დაიკივლა, ტყეს შეიჭრა,
კლდე აძლევდა შორით ხმასა,
და იგი ხმა შესაზარი
მიმოჰქონდა შორს ნიავსა.
ვინ არს იგი, აქ რა უნდა?
ადამისა თუა შვილი,
მაშ რად არის აქ ამ ტყეში,
მხეცთ სადგურში გამოჭრილი?!
აქ, ამ ადგილს, სად აფთარი
გამწარებით ებრძვის დათვსა,
სად ფიცხვერი გაშმაგებით
თვითვე ჰკბენავს თავისს თათსა,
სად მგლის ხროვა, ღმუის, დაძრწის,
ვეფხვი კლანჭს სცემს კლდეს და ხესა,
სადაც მარად მონადირე
ელის შიშით მუნ საფრთხესა.
შმაგი არის, ჭკუა-შეშლილი,
გადმოსულა გაღმა მხრიდგან,
იქ სოფლები ხევ-ხუვებში
ბუნდად სჩანან მაღალ მთიდგან.
ამ „შავს ტყეში“ გამოიჭრა,
რა შესძაგდა ხალხი, ერი,
აქ მხეცებთან ერთად დაძრწის
ხან მაძღარი, ხან მშიერი.
არ ეშინის მას ნადირის,
მათთან ერთად ბუწკნარს სძინავს,
ხან გაჰკივის მაღლა ხმითა,
ხან იცინის, ხანაც გმინავს;
ხან წყაროს პირს ბილილას ჰკრეფს,
თან ღიღინებს სევდის ხმითა,
ხანაც რისხვით მოუწოდებს
ღვთის სამართალს მაღლა ცითა.
ხან ყვავილით მოირთობა,
კისკასობს და ლამაზდება,
ხან ხორცს იგლეჯს გაშმაგებით
და ხიდამ ხეს ეხეთქება.
სეტყვა, ელვა, მეხი, წვიმა
არ არსებობს იმისთვინა,
ამ „შავს ტყეში“ ყოველ ხის ძირს
მის სახლია და მის ბინა.
ელენეა მის სახელი,
გვარს ვერ გეტყვის ვერავინა,
არც იციან, ვისი არის,
ან სად ჰქონდა წინად ბინა.

—

თ—სისა შარა გზაზედ
ზის გლახაკი დავრდომილი,
არსადა აქვს სახლი, კარი
არსადა აქვს მას ადგილი.
გამვლელსა და გამომვლელსა
ლუკმასა სთხოვს, ევედრება,
ღვთის ამარად დატოვებულს
მოჰრევია საწყალს სნება.
მომაკვდავის სახე აძევს,
უკანკალებს ორივ ხელი,
სიკვდილია მისი მხსნელი
და მტარვალად ეს სოფელი.
მაღლით მიწა გამოთხრილი
ავდრისაგან იცავს მასა,
მიწავე აქვს სარეცელად,
თავ-საყრდობლად ხმარობს ქვასა.
წყარო იქვე ჩამოურბის,
ლუკმას აწვდის კაცთ-მოყვარე,
ღამე ლამპრად, მანათობლად
ჩამოსცქერის ზეცით მთვარე.
რა მახლობელ ქალაქიდამ
გაიგონებს ცისკრის ზარსა,
ეს აქედამ მოწიწებით,
ამოკვნესით აძლევს ხმასა.
წამოდგება, დაიჩოქებს,
შეუდგება პირჯვრის წერას:
„კურთხეულ არს მის სახელი,
ასე უთვლის მაღლა ზენას,
„ზოგი სტირის, ზოგი ხარობს,
შენი არის, ღმერთო, ნება
და ჩვენ ცოდვილთ მხოლოდ გვმართებს,
რომ შეგასხათ ქებათ-ქება“.
ამას ამბობს ხელ-აღპყრობით
უთრთის ბაგე ლმობიერი,
ამ დროს ნათლად მას ძე ღვთისა
თვალ-წინ უდგა სახიერი.
ხანდახან-კი, როცა მთვარე
დაანათებს დაბლა არეს
და მისს ქვაბშიც*) თავისს შუქსა
ნელა-ნელა შეაპარებს,
მაშინ გლახა მხარ-თეძოზედ
წევს მთლად სახე დაღვრემილი,
გმინავს, ოხრავს საცოდავი

---

*) ქვაბი—გვირაბი, მღვიმე.

რათა აღკრძალულს დროს არავინ ინადიროს, თუ თავიანთ მოვალეობა ვერ შეასრულეს, პირველს ორ შემთხვევაში ჯარიმა გადახდეთ ფულით და მესამედ დათხოვნილ იქმნან სამსახურიდგანაო („ნოვ. ობოზ.“).

*** ს. ვაყა, (გორის მაზრა): ჩვენში წელს კარგი მოსავალი იყო, ნამეტნავად პურისა. მაგრამ ავდრებისა გამო დღემდის ისევ გასალეწი უდგა ძნა ბევრს ჩვენგანს. უყურებს გლეხი კაცი მომკილს სარჩოს და სწუხს. რომ არ მოსულიყო, ისა სჯობდა მომკა-მოზიდვა მაინც აღარ დაგვჭირდებოდაო.

ჩვენში ერთმა კეთილშობილმა კაცმა გახსნა სასოფლო სასწავლებელი და გაიყვანა წყლის არხი უსასყიდლოდ.

*** კახეთი: კახეთი რაღა საკითხავია და ან სანახავი, როცა კახური აღარა სდგას ქვევრებში! დიაღ, კახელებს ძნელი საქმე მოუვიდათ. ვენახის მოსავალმა ზურგი უბრუნა. გაზაფხულზედ ცუდმა ამინდებმა, სიცივემ და სეტყვამ გაანადგურა და მიწასთან გაასწორა ყოველისფერი, მერე კიდევ ნაცარმა მოუღო ბოლო. თუ რამე სეტყვას და ვაი-ვაგლახს გადარჩა, ისიც დაჟეჟილ-დაბეგვილი და მთლად დასნეულებულია, რომელსაც სიმწიფე არას გზით არ ეკიდება. შესცქერის გულ-დაჩაგრული ვენახის პატრონი თითო ოროლა კუფხალს გაბოროტებული.

სხვა მოსავალი, მაგალითად, ბოსტნისა და ხილისა აგეთივე იყო. პურის მოსავალი ორთა შუაა, ხოლო სიმინდ-ფეტვისა მშვენიერია, რადგანაც წელს ნოტიო წელიწადი იყო კახეთში; ასე რომ წელს კახელებს საქმეს გაუჭირვებს უპურობა-კი არა, უფულობა, რადგანაც ერთად-ერთი ფულის საშოვნელი მათთვის ღვინო იყო.

## კორესპონდენცია.

—

**ს. ბასილეთი,** (გურია). ბასილეთლებმა და ხიდისთავლებმა განიზრახეს შეჰკრან პირობა საზოგადოების

ხელ-წერილით, რომ გარდაცვალებულის ტირილზედ ოჯახში მასპინძლობა მოისპოს, მხოლოდ მოტირალი უნდა მივიდეს და ჩვეულებრივის წასაბურავით შეეწიოს გარდაცვალებულის ოჯახს; ამგვარადვე ქალის გამთხოვებელის ოჯახიც ულხინოდ გადაიხდის ქორწილს, როგორც გათხოვებაზედ, ისე წაყვანაზედ, ხოლო შესაწევი ისევ ძველებურად დარჩება. უნდა ვსთქვათ, თუ ეს გონიერი განზრახვა ასრულდა, დიდს შეღავათს მისცემს ხალხს, თორემ გლეხს ხარჯი დღითი-დღე ემატება და შემოსავალი-კი თან-და-თან აკლდება! თუ ეს აზრი განხორციელდა, უეჭველია სხვანიც წაჰბაძავენ, რადგან ასეთის ჩვეულების გადაგდება ცხადია რომ მავნებელია ისედაც ხელ-მოკლე გლეხისათვის.

იქნება შეძლებულებმა ეს განზრახვა იუცხოვონ, მაშინ იმათ თავ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შეგვიძლია ვურჩიოთ, რაც ქორწილში ან ტირილში დაეხარჯებოდათ, ეს ფული უფრო სასახელო საქველ-მოქმედო საქმეს მოახმარონ და თავისს გაჭირვებულს მოძმეებს გულ-წრფელი სიყვარული და შემწეობა აღმოუჩინონ.

იონა ვასილის ძე კალანდაძე.

—

**საგარეჯო.** ამ შვიდის წლის წინად „ივერიის“ ფურცლებზედ ქსნის ხეობიდგან ვიწერებოდი, რომ გლეხ-კაცობა ძლიერ ეტანება სწავლას და შველა და დახმარება უნდათქო. პროვინციიდგან ეგეთი ხმა ძლიერ სასიამოვნოდ მიიღო ჩვენმა პატივცემულმა პ. უმიკაშვილმა და მაშინ მოძრავ სკოლებზედ აღძრული ხმა განაძლიერა „ივერიის“ ფელეტონებში. მაგრამ არამც-თუ მხარი არავინ მისცა, არამედ ერთმა ჩვენმა გამოჩენილმა პედაგოგთაგანმა ის აზრიც-კი გამოსთქვა ბეჭდვით ბ. პ. უმიკაშვილის საპასუხოდ, რომ ყველა გლეხებს თავიანთ ეზოებში, რომ სკოლები დავუმართოთ, მაინც არ მიაბარებენ შვილებსო. ამიტომ ტყუილად ჩასჭიდებია ბ-ნ პ. უმიკაშვილი პროვინციელ „ძმუისელის“ ხავსსაო. ამით გათავდა მოძრავ სკოლებზედ ბაასი. ჩვენც ვიფიქრეთ: ალბად ეგ აზრი გატაცებით წარმოვსთქვით-თქო და მივჩუმდით. მას აქეთ ბეჯითად ვადევნებთ თვალს ჩვენში სწავლა-განათლების მიმდინარეობას და დღითი-დღე მტკიცდება ის აზრი, რომ გლეხკაცობა მხურვალის გულით ელტვის სწავლას.

რომ სწავლის სურვილი გლეხკაცს ძვალში და რბილში აქვს გამჯდარი, ამის დასასაბუთებლად მოვიყვან ერთს მაგალითს. ბედმა მარგუნა საგარეჯოზედ გავლა. პირველ ენკენისთვეს დავესწარი აქაურ ორ-კლასიან სასწავლებელში ყმაწვილების მიღებას.

სოფელში გახურებული კალოობაა. დღე მშვენიერა გათენდა. ყველამ კალოები ჩაშალეს. საზრდოს და ყოველივე გლეხ-კაცის ბეგრის გამსტუმრებელს და მრავალ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელს პურს ლეწვა დაუწყეს. კარგს ამინდს ეშურებიან, მაგრამ ისიც არ ავიწყდებათ, რომ დღეს სკოლაში ყმაწვილების მიღებაა. დედ-მამანი თავიანთ საჩქარო საქმეს თავს ანებებენ და შვილებითურთ მიეშურებიან სკოლისაკენ. სკოლის ეზო გაივსო ყმაწვილებით და ხალხით. პატარა ცელქებს ჟივილ-ხივილი გააქვთ; ხან სკოლის შენობის ერთს მხარეს დასცემენ კიჟინას ნამგალა ჩიტებსავით და ხან მეორე მხარეს. ხალხი-კი ელის მოუთმენლად კენჭისყრის დროს, ეს დროც დადგა. დაირეკა ზარი და მოიკრიბა შუა ეზოში ქალ-ვაჟი და ხალხი. გამოვიდნენ მასწავლებლები თავიანთის ქაღალდებით დალონებულნი.

გამოტეხით უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დღეს ორმა გრძნობამ ამიტაცა: ერთმა განუსაზღვრელმა სიხარულმა, რომ მოვესწარი იმ დროს, როდესაც ჩვენში ეგრე მხურვალედ ეკიდებიან სწავლას და მეორე სიბრალულმა, რომ მსურველთა მეათედიც არ არის ბედნიერი დაიკმაყოფილოს სწავლის მიღების სურვილი.

კარგად მახსოვს ამ ათის წლის წინად დაბეჭდილი ბ. ალ. ნათაძის ფელეტონებში ცოცხალი და ნამდვილი სურათები ჩვენის ცხოვრებისა, სადაც მასწავლებელი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ როგორმე ყმაწვილები მიიტყუილოს სასწავლებელში. დღეს-კი რასა ვხედავთ? იმას, რომ დედმამანი არაფერს ზოგავენ, ოღონდ თავიანთი შვილები მიაღებინონ სკოლაში, მაგრამ უმეტესი თვალცრემლიანი ბრუნდება შინ. სწორედ დამაფიქრებელი სანახავი ვნახე წელს საგარეჯოს სასწავლებელში. სასწავლებელი სავსეა ძველი მოწაფეებით. მასწავლებელთ ითათბირეს და გადასწყვიტეს, რომ ახლებიდგან თხუთმეტიოდე მაინც უნდა მივიღოთ უთუოდ, თორემ აღელვებული ხალხი კეთილს არას დაგვაყრისო. შეუდგნენ კენჭში შესასვლელ ყმაწვილების სიის შედგენას. ზოგი ვითომ პატარაობით დაიწუნეს, ზოგს მოუგონეს, თქვენი ოჯახიდგან სასწავლებელში უკვე სწავლობსო და ორსა და სამს ერთი სახლიდგან ვერ მივიღებთო, ზოგს უთხრეს შენ ამ საზოგადოებისა არა ხარო, ზოგს რა და ზოგს რა. გამოარჩიეს, გამოარჩიეს მეცხვარესავით და იგეთი ქალ-ვაჟნი, რომელთ არაფითარი უარი არ ეთქმებოდათ ჩაიწერნენ ას-ათი. ერთმა მასწავლებელთაგანმა გამოუცხადა ხალხს, რომ სასწავლებელში უალაგობის გამო დიდის გაჭირვებით მივიღებთ თხუთმეტს ყმაწვილსაო. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ შარშან ყოფილა მთხოვნელი ას-ორმოც-და-ათი ქალ-ვაჟი, მიუღიათ მარტო 65. 110-ში, როგორც მოგახსენეთ, შეხვდა კენჭი 15-ს, დანარჩენებს-კი უარი უთხრეს. ხალხმა შეჰქმნა ერთი ყვირილი და ვაი-ვაგლახი: ზოგნი იძახდნენ სკოლას დავანგრევთო, ზოგნი ხარჯს აღარ მივსცემთო, ზოგნი—მაშ თუ ეგრეა, გარდასახადიც მარტო იმათ გადიხადონ, ვისი[illegible] შვილი აქ სწავლობსო.

ასეთი ამბავი თურმე ყოველს წელს ხდება საგარეჯოში და გასაკვირველია, რატომ არავინ ზრუნავდა ან სკოლის პირველ ორ განყოფილებასთან პარალელური კლასები მიემატებინათ, ან კერძო სასწავლებელი გახსნილიყო და ან სამრევლო სკოლა დაარსებულიყო. ამ სამში ერთი და ერთი აუცილებელი საჭიროა დღეს, რომ გლეხის სულიერი მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს. საგარეჯოში ოთხი დიდი სამრევლოა და ნუ-თუ არ შეუძლიანთ ერთი სამრევლო სკოლა დააარსონ.

როდესაც ამისთანა ამბებს ვხედავ, ყოველთვის ერთი და იგივე აზრი მებადება: მერე, სად არის ქართველი შეგნებული და განათლებული თაობა, რომლის მოვალეობაა ხალხში დატრიალდეს და გონებითი და ზნეობითი საზრდო მიაწოდოს თავისს ერს?!

ძმუისელი.

—

**კავკავი,** 19 სექტემბერს. როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული გაზ. „ივერიაში“, კავკავში მცხოვრებ ქართველ მასწავლებლებმა განიზრახეს დაარსება საკვირაო სკოლისა და ეს განზრახვა, მათდა სასახელოდ, სისრულეშიაც მოიყვანეს. კვირას, 17 სექტემბერს, დანიშნული იყო კურთხევა ზემოხსენებულის სკოლისა, რომელსაც, გარდა იმ მომავალ მოსწავლეთა, რომლებიც ჩაეწერნენ წინა კვირას, დაესწრნენ აგრეთვე სხვა საპატიო სტუმრებიც, როგორც მაგალ. ინსპექტორი სახალხო სკოლებისა ალ. ჭიჭინაძე, მისი მეუღლე და სხვანი მრავალნი კურთხევა დანიშნული იყო ქართულის სკოლის დარბაზში, რადგანაც საკვირაო სკოლაც აქვე არსდება, როგორც უფრო მოხერხებულსა და შესაფერს ადგილს. ვიდრე კურთხევა დაიწყებოდა, პატივცემულმა ტ. კახიძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც განმარტა მნიშვნელობა საკვირაო სკოლისა, მისი სარგებლობა და, სხვათა შორის, სთქვა: „ამ შვიდის წლის წინად, როდესაც დაიბადა აზრი და სურვილი ქართულის სკოლის დაარსებისა, ზოგიერთნი გაიძახოდნენ: „რად გინდათ სკოლა—ვისთვის

---

და არ მოსდის თვალზედ ძილი.
თეთრს წვერს ცრემლი ეპკურება,
ეჭმუხვნება შუბლი პრტყელი,
რა[illegible] მოსწოლია,
გულს ღრღნის, ვითა გესლი გველი;
აკვნესდება, ატირდება,
ცას შესძახის ყვედრებითა
და თვალთაგან ძირს სიპ ქვასაც
ალბობს ცხარე ცრემლებითა.
დაღალდება, დასუსტდება,
მაშინ მოსდის თვალზედ რული,
მაგრამ ძილშიც ხანდახანა
მწარედ კვნესის მისი გული.
ხან შეკრთება, დაიძახებს:
ვაი, შვილო ელენეო,
ცოცხალი ხარ, მაგრამ უკვე
ჩასულია შენთვის მზეო.
დღე ღამეს სდევს, ღამე დღესა,
მარად ოხრავს მისი გული;
არ არსებობს მისთვის შვება,
არ არსებობს სიხარული...

—

დილა იყო... მტრედის ფერად
იღებოდა ცისა კარი,
და მწყემსებსაც ადრიანად
გაეშალათ ველზედ ცხვარი.
ცხვარი ხარბად მობიბინე
და ნამიანს სძოვდა ბალახს,
მწყემსთ მიჰმართეს სასაუზმოდ
წელს შემორტყმულს თვისს კაბალახს.

რა დანაყრდნენ, წყარო[illegible]კენ
გაეშურნენ [illegible]ოთად ყველა,
ლ[illegible]ობდნენ და ყიჟინობდნენ,
გაისმოდა „დელი-დელა.
ჩამომწკრივდნენ კლდისა პირზედ,
დაეწაფნენ „ცივცივასა»,
მერე ქვაბში წამოწოლილს
მიესალმნენ ბერიკაცსა.
მან პასუხად მწყემსებს დაბლა
დაუქნია მხოლოდ თავი,
ამ დილაზედ უფრო იყო
სამწუხარო სანახავი.
ჩასცქეროდა დაბლა მიწას,
მისცემოდა ფიქრთა ზღვასა
და ცრემლები გამოსთქმიდნენ
მის ტანჯვას და გულის-თქმასა.
უმზეროდნენ მწყემსნი გლახას,
შეეცოდათ ის საწყალი,
„ეგებ ჰშიან“, გაიფიქრეს,
მიაწოდეს გუდით ხალი.*)
მაგრამ გლახამ ხმა არ გასცათ,
არც დაჰხედა მოწყალებას,
დღეს მის გული ერთი ორად
დაემონა დარდს და ვნებას.
უკვდებოდათ მწყემსებს გული,
ბერიკაცის კვნესაზედა,
და მიზეზის კითხვა მისთვის
ვერავის ვერ გაებედა.
ბოლოს ერთი წადგა წინა,
ასე უთხრა: მამილოვო,
გვითხარ, ცრემლი რისთვის დაგდის,
ვინ მოგიკვდა ვისა ჰგლოვო?
რა ხანია მწყემსათა ვარ,
აქ ვაძოვებ მინდვრად ცხვარსო,
ბევრჯელ ნახულ-გაგონილსა
მოგვითხრობდი შენ ამბავსო;
რო გკითხავდით: შენ ვინა ხარ,
სად ცხოვრობდი, რა სოფელსა,
ჰყუჩობდი და გამწარებით
ჩაიქნევდი დაბლა ხელსა.
ამ დროს ცრემლი შენსა თვალებს
ერეოდა წყნარა-წყნარა,
მეჭმუხვნოდა შუბლის კანი,
ვით ავდრის დროს ცის კამარა.
ეხლა მაინც გვითხარ, ვინ ხარ,
რა გაწუხებს, რათა სტირი,
თუ ავად ხარ, გულს გილონებს
სატკივარი, სნება, ჭირი?
— ჰე, შვილებო, ბერიკაცმა
გულ-ამოსკვნით დაიკვნესა,
რა ხანია ბინდი ჰფარავს
გაშავებულს ჩემთვის მზესა.
მაგრამ მალე მოვისვენებ,
არა ვსწუხვარ ამისთვინა,
მთლად მივიხრწენ, ვმადლობ უფალს,
რომ ვედრება შეისმინა.
სამარეში მიდგას ფეხი,
არც ვისმეს ვსთხოვ ხსნას და შველას,
ახლო ნოდით, საიდუმლოს
რამეს გეტყვით თქვენ სუყველას...
ეხლა როცა ყოველს წუთში
სიკვდილს ველი მოუთმენლად,
არ მეშინის, დე, ვინცა ვარ
მოიფინოს მთად და ველად.
აქ მოხუცი შესდგა ერთს წუთს
და წყლით ყელი გაისველა,
ჩაახველა, მთრთოლვარე ხმით
ამბავს მოჰყვა ნელა-ნელა:
მეც შვილებო, ერთხელ მქონდა
სახლი, კარი, ოჯახობა,
სულ წამერთო, სჩანს უფალმა
მომინდომა ძირს დამხობა.
როგორც იყო წლითი-წლობით
გამომყვანდა ცოლი, შვილი,
ცისმარე დღეს ოფლსა ვღვრიდი,
არა მქონდა თვალზე ძილი.
ძმანო, ჩვენი გლეხი კაცი
განა-კი გასაჩენია?!
სიღარიბე, მწარე ლუკმა,
აი იმისი დღენია!
ჩემი ბედის მადრიელი
არც მაშინ ვიყავ ბეჩავი,
და მერე უფრო ერთიან
მთლად დავილუპე ბედშავი...
კვირა იყო. დერეფანში
ვიჯექ გულ-ხელ დაკრებილი,
ავადმყოფი ცოლი მეწვა,
ეხვევოდა გარს წვრილ-შვილი.
დავყურებდი ავადმყოფსა,
არ ვიცოდი, რით მეშველა,
ჯერ რა არის გლეხი კაცი,
ახლა—კიდევ მარტო ხელა!
სახლში გროში არ მებადა
და ორმოში ხორბლეული,
შვილთ ვხედავდი მშიერ-ტიტველთ,
მევსებოდა ტანჯვით გული.
უცებ, სოფლის განაპირას,
შემომესმა ჟრიამული,
ოხ ის დღე და ის საათი
დაივსოს და იყოს კრული!
ავდექ, ეზოს გადავდექი,
გადავხედე დაბლა უბანს,
სადა ჰქონდა სამართალი
იმ წუთს ღმერთსა, მაღლა უფალს!
მტერი რაა! იმას მტრულად
მიაგებებ იარაღსა,
მაგრამ რას იქ იქ, სადაცა
სამართალი გიწყვეტს ხმასა!
«ზეკუცია“ მოგვადგომოდა,
არბევდნენ და სცემდნენ ყველას,
სასიკვდილოდ არ ინდობდნენ,
ვინც ჰბედავდა თავის შველას.
მამა-კაცნი შიშით თრთოდნენ,
დედა-კაცნი იწეწდნენ თმას
და გაღმა კლდე ბანს აძლევდა
წივილ-კივილს, ვაი-მოთქმას.

*) საკორტეთ დამზადებული პურის ხორბალი.

აარსებთო"?.. ამითი იმისი თქმა უნდოდათ, რომ ვითომ მოსწავლენი არ გამოჩნდებიანო... მაგრამ მადლობა ღმერთს, ამ გვარი მსჯელობა სულ უსაფუძვლო გამოდგა. მართალია, პირველში მხოლოდ 35 ბავშვი ჩაეწერა, მაგრამ შემდეგს წლებში თანდათან იმატა მსურველთა რიცხვმა და, აი, ეხლა უკვე 105 მოსწავლე ითვლება. ბევრს უარიც-კი ვუთხარით და კიდევაც ბევრს ვეტყვით, რადგანაც ადგილი ნებას არ გვაძლევს, ამაზედ მეტი მივიღოთ. ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ეხლაც-კი გაიძახიან ზოგნი „ვისთვის აარსებთო." მაგრამ ის იმედი, რომ ყურადღებით მოეკიდებით ამ საქმეს და ხალისიანად დაიწყებთ გაკვეთილებზედ სიარულს, მაიძულებს ვიფიქრო, რომ ეს საკვირაო სკოლაც ისევე ფართოდ გაშლის თავისს საასპარეზო დროშას, როგორც უკვე არსებული ქართული სკოლა, და წერა-კითხვას შეასწავლის იმათ, რომელნიც დღევანდლამდის ვერ ღირსებიან სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო. დასასრულ, გთხოვთ სხვანიც შეაგულიანოთ და ბეჯითად იაროთ, რომ თქვენს მასწავლებლებს, რომლებიც ასე უანგაროდ შრომობენ საზოგადო წარმატებისათვის, გული არ აუცრუვდეთ და ასე ჩინებულად დაწყებული საქმე არ ჩაიშალოსო"... ამის შემდეგ, ოსების ეკკლესიის მღვდელი, მამა გათუევი შეუდგა შესრულებას კურთხევის წესისას, რომლის საგალობლებს ქართულად გალობდნენ აქაური ქართველი სკოლის მოწაფენი, მასწავლებელის ლ. ბოცვაძის ლოტბარობით. კურთხევის შემდეგ ბ-ნი ალ. ქიქინაძე მიუბრუნდა მომავალ მოწაფეებს და მოკლე დარიგება მისცა. თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: „ყველგან, სადაც-კი დაუარსებიათ ამგვარი სკოლები, მაგალ. ტფილისში, ქუთაისში და სხ. ჩინებული შედეგი მოჰყოლია და აქაც, თუ-კი ეცდებით და ხალისს გამოიჩენთ, კარგი შედეგი ექნება და დიდს სარგებლობასაც მოიტანსო."

ამ გვარად, კავკავის ქართველობას დღეიდგან ექნება, გარდა უკვე არსებულის ქართულ სკოლისა, საკვირაო სკოლაც, რომელიც დიდს წარმატებას უქადის მათ, თუ რომ, რასაკვირველია, მასწავლებელნი და მოსწავლენი ენერგიულად მოეკიდებიან თავიანთს საქმეს.

ჯერ ხნობით სწავლის სურვილი განუცხადებიათ 42 პირთ. შესაძლებელია მკითხველს ეცოტავოს ეს რიცხვი, მაგრამ, იმედია, ჩქარა გამრავლდება. საგნები, რომლებსაც ასწავლიან საკვირაო სკოლაში, იქნება შემდეგი: რუსულ-ქართული ენები, ანგარიში, გალობა და სხვ. სწავლა დაიწყება მომავალ კვირიდგან.

ეს საკვირაო სკოლა, თუ-კი მოთავენი ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს და მკვიდრ ნიადაგზედ დაამყარებენ, უეჭველია, მოიტანს ორგვარ სარგებლობას: ა) ამოდენა ქართველ ნოქარ-ხელოსანთ შესძენს სწავლა-განვითარებას და ბ)—ააშორებს მათ უბრალოდ აქეთ-იქით სიარულს, რომელსაც, რასაკვირველია, არაფერი კეთილი არ მოსდევს გარდა ურიგო ფულების ხარჯვისა, იმ ფულებისა, რომელიც, ვინ იცის, როგორის წვითა და დაგვით შეუგროვებიათ!..

დამსწრე.

—

„რაღაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია".

**რომი.** ამ დღეებში რომმა იდღესასწაულა თვისის საუკეთესო და დაუვიწყარის მამულიშვილის—გარიბალდის ძეგლის კურთხევის დღე. ძეგლი აღუგეს ჯანიკოლოს სიმაღლეზედ იმ გმირს, რომელმაც სამუდამოდ პოლიტიკური თავისუფლება მიანიჭა იტალიას რაც ყოველის ერისათვის შეადგენს სანატრელს საგანს და „წმიდა წმიდათა"-ს!

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ალტაცებით, სასოებით და სიყვარულით შეხვდებოდა ამ მნიშვნელოვანს დღეს იტალიის ხალხი და რა უკვდავს ზვარაკს—წრფელს გრძნობას და მადლობას შესწირავდა თვითოეული მათგანი „თავისუფლების მომნიჭებელის" აჩრდილს...

სწორედ ათი წელიწადია მას აქეთ, რაც გარიბალდის ქანდაკს აკეთებდა მთელს იტალიაში საუკეთესო მოქანდაკე გალარი; გავიდა ათი წელიწადი, გალარის ძნელი და გულ-მოდგინე მუშაობა დასრულდა და მასთან ერთად შესრულდა მთელის იტალიის გულითადი საწადელი: დიდებულის მამულიშვილის მშვენიერი ქანდაკი დღეს ჯანიკოლოს სიმაღლიდამ გადმოჰყურებს რომს და თვალ-ყურს ადევნებს აწინდელს განთავისუფლებულს იტალიის ერს.

ჯერ კიდევ კარგად არც-კი გათენებულიყო, როდესაც ჯანიკოლოს კალთებზედ ასი ათასზე მეტი ხალხი მოუთმენლად ელოდდა იმ წუთს, როდესაც ქანდაკს ჩამოხსნიდნენ ფარდას და ხალხის თვალს წარმოუდგებოდა ის დიდებული სახება, რომელსაც იგივე ხალხის გული კარგა ხანია სასოებით და სიყვარულით თან ატარებს, როგორც სალოცავს ხატს. რამდენად ახლოვდებოდა ეს დრო, იმდენად უფრო მოუთმენლობა ხალხისა ჰმატულობდა; ყოველი წამი თვითოეულისათვის მთელ საუკუნეთ გარდაქცეულიყო.

როგორც იყო გამოჩნდა მეფე და მისი ოჯახობა; გამოჩნდნენ მინისტრები და უცხოელნი სტუმარნი. მოუთმენელმა ხალხმა იგრძნო დასაწყისი დღესასწაულისა და ალტაცებულმა ბრბომ სრულიად დაანგრია ის ფიცრული ღობე, რომელიც აკავებდა ხალხს და მთელი მაღლობი ადგილი დაიჭირა. ყველაზედ საყურადღებო სანახავი იყო პატარა გროვა მოხუცთა, რომელნიც შემდგარიყვნენ ძეგლის საფეხურებზედ, ეცვათ წითელი პერანგები და პატარ-პატარა მრგვალი ქუდები ეხურათ;—ესენი იყვნენ გარიბალდის თანამეომარნი, მასთან ერთად მებრძოლნი იტალიის განსათავისუფლებლად, რომელნიც სიკვდილს დამალოდნენ ამ სადღესასწაულო დღის დასასწრებლად. მათ შორის შესამჩნევი იყო პატარა ტანის მოხუცი, ოთხმოცის წლისა, რომელსაც სამჯერ ჰქონდა გარდაწყვეტილი სიკვდილით დასჯა და 20 წელიწადი გაატარა ავსტრიელთა კოშკებში პატიმრად, მაგრამ ყოველსავე ამას გადაურჩა ამ დღის სანახავად. ეს მოხუცი დიდის ალტაცებით მადლს უხდიდა ყველა მათ, ვინც ამ დღისათვის შეგროვილიყო...

ჩამოხსნეს თუ არა ფარდა ძეგლს—ხალხმა ერთხმად დაიგრიალა, შეჰყვირა, შესძახა დიდებულს მამულის შვილს! იმ ყვირილში, იმ ხმაურობაში ისახებოდა: სიყვარული, სასოება, მადლობა, დიდება და ქება თავისუფლების მომნიჭებელის მიმართ! ეს ამოდენა ხალხი ერთ სულად და ერთ გულად შეეკავშირებია მამულიშვილურს გრძნობასა და წმიდა გულის ძგერას; ყველას დავიწყებოდა დღის ვარამი და საერთო საგალობელს ჰგალობდა. მიუხედავად იმისა, რომ კრისპის ბრძანებით აღკრძალული იყო გარიბალდის ჰიმნი დაეკრათ, ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა და ამ ხმას ჰგალობდა და თან დაუსრულებლად გაიძახოდა: „სრული პატიება, ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთაო!"

მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ამ სასიხარულო დღეს, ამ ხალხის დღესასწაულს, ამ საერთო სიხარულს არ მიეკედლა და არ დაესწრო შვილი თვით გარიბალდისა, მაშინ როდესაც მთელი იტალია ერთის გრძნობითა და ერთის აზრით გატაცებული ამ დღეს საბედნიერო დღეთა სთვლის და ალტაცებულაა,—ღვიძლიშვილი ამ საერთო სიხარულის მიზეზისა განზე სდგას და მონაწილეობას არ ღებულობს!..

როგორ უნდა შევხედოთ ჩვენ ამას? რით უნდა ავხსნათ ეს გარემოება? ნუ-თუ მითი, რომ გარიბალდის შვილი თავის სახელოვან მშობელს ღირსად არა სთვლის და არ აფასებს? არა! ნამდვილი მიზეზი მისის ასეთის საქციელისა ის არის, რომ მას ამგვარად ჰსურს პროტესტი განუცხადოს აწინდელს იტალიის მთავრობას, რომელსაც სრული სიბრალული, შენდობა და პატიება პოლიტიკურ დამნაშავეთა ვერ გარდაუწყვეტია; ამითი უნდა მას ღირსი და გულ-წრფელი საყვედური გაუცხადოს მათ, ვინც დიდებულის მისის მშობლის ანდერძს არ ასრულებს!

მართლა რასა ჰგავს: იმ დღეს, როდესაც მთელი იტალია თვისის მხსნელის სახელს ლოცულობს, როდესაც დიდი და პატარა დიდებულის მამულიშვილის ქანდაკს ლიტანიას უვლის და მხიარულობს, როდესაც მთელი ის არემარე და ჰაერი გარიბალდის სახელის ძახილით დატყვევებულია,—იტალიის მთავრობა კრისპის პირით ბრძანებასა სცემს: გარიბალდის ჰიმნს ნუ დაუკრავთო?

ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ შვილი გარიბალდისა, რომელსაც არა სწამს „იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია" არ დაესწრო ამ კუპრ მოცხებულ დღესასწაულს...

ვიმეორებთ, დიდ უსამართლობად და შემაძრწუნებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ის შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ხალხის სიცილსა თუ ტირილს, ქორწილსა, თუ გლოვის თვითმნებელობის მხრით შემოეფარგლება წრე მოქმედებისა და განხორციელებისა.

რად მინდა სხვისი ტირილი და სხვისათვის გლოვა, როდესაც მე ქორწილი მაქვს და ან რად მინდა სხვისის ჯან-მრთელობისათვის ლოცვა, როცა მე ცრემლი ღაპა-ღუპით გადმომჩქეფს?!. არა, არ არის საჭირო და მაშასადამე არც გასაკვირალია, თუ ვინმემ ასეთს არეულს, ძალგმოკიდებულს დღესასწაულს ხალხისას თავისი გული და გრძნობა გზად და ხიდად არ გაუდვა...

როგორც თვითოეულს ადამიანს კერძოდ, ისე ყოველს ერს საზოგადოდ აქვს უფლება დროისა და გარემოების მიხედვით სატირალი იტიროს და სამხიარულო იმხიარულოს, არავითარი ზნეობრივი უფლება არავის არა აქვს ასეთის გრძნობის განხორციელებას ან ხელი შეუშალოს და ანუ თავისებური რაიმე მიუმატოს; მეტადრე მაშინ, როცა ცრემლი, ანუ სი-

---

სამის წლისა „ფოსტის ფული"
ზედ ემართა ჩვენსა სოფელს,
რა ვქნათ, ძმაო, ვერაფერსა
ვერ გამოვრჩით მიწას ოხერს!
უბნიდამ უბანშია
მათრახებით დადიოდნენ,
ყაჩაღივით კარ-დაკეტილს
სახლში ძალით შედიოდნენ.
რასაც-კი მოახელებდნენ,
თან მიჰქონდათ ყველაფერი,
პირუტყვი და სხვა ავეჯი
არ გადურჩათ არაფერი...
წამოადგნენ ჩემსა ქოხსაც
და წუხილი შექმნა გულმა,
„ფოსტის ფული გამოიტა"!
დამიყვირა ბოქაულმა.
— არა მაქვს-რა, ვფიცავ გამჩენს,
ვუპასუხე ბატონს ყმურად,
როცა მქონდა, ხომ გაძლევდი
ყოველ-წლობით მე ერთგულად.
— რას მიჰქარავ, საცა იყოს
მიშოვევი ემ წუთასო,
თორემ ქოხის კარებზედა
დაგინაყავ მაგ ბრიყვ თავსო.
— ვის მივმართო, სად წავიდე,
ვინ მასესხებს, რა გავყიდო,
ვერას მოგცემ, თუნდ რომ მეთქი
ცეცხლი ცეცხლზე წამიკიდო.
— ვერას მომცემ! მაშ გიჩვენებ,
ეჰ, ჩაფრებო! შეუძახა,
იმისთანა ულმერთ-სჯულო
მე ჩემს დღეში არ მენახა!
— დაჰკარითო, არ დაინდოთ,
თუნდ ამოსძვრეს აქავ სული,
დამიშინეს, მთლად ავენთე,
ამიღელდა, ძმანო, გული.
ცოლი ლოგინში კიოდა,
დასტიროდნენ თავს ბაღლები,
თანა მცემდნენ, თანაც ქოხსა
მიძარცვავდნენ გზირ-ჩაფრები.
ველარ გასძლო გულმა მეტი,
ვერ შესძლო, ვერ მოითმინა,
მივიხედე და ნაჯახი
დავინახე იქ ჩემ წინა.
წამოვავლე იმას ხელი,
მოვუქნიე ერთს ჩაფარსა,
მკლავმა გასჭრა, და უცებად
მოვაშორე თავი ტანსა.
არ ვიკმარე, ბოქაულსაც
შევუტიე, ვკარი ცული,
ძირს დაეცა იმავ წუთას,
განუტევა მანაც სული!
დავკარ ფეხი, გადავეშვი,
ვენახები გადავთელე,
გამომიდგნენ, ვერ მიპოვეს,
ტყეს შევიჭერ ღელე-ღელე.
ოც-და-ხუთი წელიწადი
დავდიოდი გარე-გარე,
რა დავმალო, ბევრი სისხლი
დავანთხიე და დავღვარე.
დამდევდნენ და ვერ მიჭერდნენ,
ვერ მაკლებდნენ ვერაფერსა,
თოფი, ხმალი კარგი მქონდა
და ხანჯალი მერტყა წელსა.
ჯავრი მკლავდა, რომ ცოლ-შვილი
მივატოვე ღვთის ამარა,
შევიტყე, რომ მათხოვრობდნენ,
დადიოდნენ კარ-და-კარა.
ბევრჯელ მარტოს სადმე ხის ძირს
დამიღვრია ცრემლი მწარე,
აგრე, ძმანო, იმავ თავით
ვერაფრით ვერ გავიხარე!
ამხანაგი მყვანდა ერთი,
ჩემებრ იყო ისიც თული,
ულმერთ-სჯულო, დაუნდობელს
მკერდსა ედვა ქვისა გული.
ტყეში, გზაზედ და სოფელში
ხალხსა ვცემდით შიშის ზარსა,
ბევრის დედა ავატირეთ,
არა ვდებდით ერთს წუთს ხმალსა.
ერთხელ შევითქვით ზამთარში
ქალაქში წასასვლელადა,
ტყვია-წამალის სასყიდლად,
თოფ-ხანჯლის დასაფერადა.
შევედით, შევიპარენით,
ვისაქმეთ, რაც-კი გვინდოდა,
მერე დუქანში შევედით,
ორივეს პური გვშიოდა.
კარგად დავლიეთ, შევხედო,
უცებ გაიღო კარია,
ორმა ქალმა და ყმაწვილმა
ჩვენ დაგვიმშვენეს მხარია,
დასხდნენ და მოჰყვნენ უწმაწურს
ლაპარაკსა და ქცევასა,
იმ ბინძურს სიტყვებს მე ეხლა
ვერ ვათქმევინებ ენასა.
მაგრამ, ოხ ღმერთო, მე ვიცან
ვინც იყვნენ იგი ქალები...
ავენთე, ვითა შეშლილმა
დავაშტერევი თვალები.
მათაც დამიწყეს ყურება,
მიცნეს, ვინც ვიყავ, გაიგეს,
შეშინდნენ, ჰსურდათ დამალვა
და თავი დაბლა დაიღეს.
ვაჰ, თურმე სახლთან ერთადა
ნამუსის ქუდიც წამრთმოდა,
და ისეც ღვთისგან შერისხულს
ჭირი-ჭირზედა დამრთოდა,
ერთი იყო ჩემი ცოლი,
მეორე ჩემი ქალია,
თურმე აქ დედა შვილს ჰყიდდა,
ვაჭრობდნენ კარგა ხანია...
ავენთე, გული აღელდა,
სახეს ამვარდა ალია,
ველარ შევმაგრდი, ვიშიშვლე
უცებად ბასრი ხმალია.
დავუშვი ცოლსა, გავაპე,
იქავე სული დალია,
ნაჭერ-ნაჭერად ვკუწავდი,
დაგვცქეროდა ჩემი ქალია...
მას შეეშინდა, იკივლა,
გარედ გავარდა, გაიქცა
და გონ-წასული, უღონოთ
შუა ქუჩაში წაიქცა.
მეც გამოვვარდი გარეთა,
ვინც წინ დამიდგა, ვკარ ხმალი,
ვერ დამიჭირეს, შემირცხვეს
ქალაქის ვაჟკაცთ ფარ-ხმალი!
ბოლოს გავიგე, რომ ქალი
ჭკვას შეშლილიყო შიშითა,
და ახლა დაძრწის ტყე-ღრეში
თავ-პირში ცემით, ვიშითა.
იქნებ თქვენც იცით, „შავს ტყეში"
რომ ხშირად დადის ქალია,
ხალხსა ჰგონია, რომ იგი
მოჩვენება და ალია.
ელენე ჰქვიან სახელად,
ის ჩემი ქალიშვილია,
და აჰა, შვილო, გითხარით
ჩემი დარდი და ჭირია.
მეც დავუძლურდი, ყაჩაღათ
აღარ ვარგოდი ამხანაგს
და ასე ორი წელია
ჩუმად ვგლახაობ ამ ალაგს...

—

რა გაათავა მოხუცმა,
თან ცრემლს აფრქვევდა მდუღარეს,
მწყემსნიც გულ-ამღუღრებულნი
შესცქეროდნენ გლახას მწუხარეს.

ი. ევდოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცილი ამა თუ იმ ერისა გამოწვეულია რომელისამე ისტორიულის შემთხვევის მოგონებით, იმ შემთხვევის მოგონებით, რომელიც შეადგენს მთელს ეპოქას იმ ერის ცხოვრებაში, რომლითაც თავი მოაქვს და სულდგმულობს იგი...

როდესაც წმინდა მამულიშვილურის გრძნობით გატაცებულია რომელიმე ერი, როგორც მაგალითად ამ შემთხვევაში იტალია, მაშინ საფიქრებელი არ არის, რომ მისი სიტყვა, მოქმედება, სურვილი, მოთხოვნილება, ტირილი, ანუ სიცილი საზღვარს გარდახდეს და საძრახისი რაიმე ჩაიდინოს. მაშასადამე ამ დროს თავისებურის სიშუალების ხმარება, რისამე მიმატება, აღკრძალვა სრულის მხიარულებისა, სიმღერისა, მუსიკისა, ანუ ტირილისა, ცრემლისა, სიტყვისა და სხვა. არის ისეთი საშუალება, რომელიც ყოველთვის ყოფილა და იქნება განკიცხული ისტორიისაგან. თუ რომ ნებას აძლევ აღუგოს ძეგლი მას, ვინც თავისუფლების უკვდავი ტაძარი მიანიჭა ერს და ეს დღე იდღესასწაულოს შესაფერად, მაშინ ეს დღესასწაული უნდა აღნიშნოს სავსებით და მას წინ წაემძღვაროს: სიხარული, სიყვარული, სიბრალული, შენდობა, პატიება და მოწყალება; თუ ასეთს ფართო, მაგრამ სრულიად კანონიერს ფარგალს შეუზღუდავ შენებურად, მაშინ ისა სჯობია, რომ სულ ნება არ მისცე. წინააღმდეგს შემთხვევაში, რასაკვირველია, ყოველივე ეს იქნება არეული, უფერული, მცირე და ვერ მიაღწევს საწადელს.

აი, მაგალითად, გაზეთები ამბობენ, რომ „გარიბალდის ძეგლის კურთხევის გამო უფრო მეტს დღესასწაულსა და შედეგს მოელოდნენო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდაო“. რასაკვირველია მოლოდინი არ გამართლდებოდა: რა გაამართლებს მაშინ მოლოდინს, როდესაც საერო ტირილისა, თუ სიცილის დროს თავისი განზრახვა დაუწინაურებიათ, ნებაყოფლობითა სტვირთავენ და პირში ბურთსა სჩრიან?!.

აი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ გარიბალდის შვილმაც დასთრგუნა თავისი ეროვნული თავმოყვარება და მამაშვილური გრძნობა, სიყვარული და იმ დღეს, როდესაც მთელი იტალია მხიარულობდა „თავისუფლების მომნიჭებელს“ ძეგლის გარშემო, არ მივიდა გარიბალდის შვილი, რათა თაყვანი ეცა დიდებულის მამულიშვილისა და მამისათვის, რადგანაც ბ-მა კრისპიმ ეს დღესასწაული შებღალა და კუპრი წასცხო.

განანი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პარლამენტის მომავალ სხდომებზედ მინისტრებს, სხვათა-შორის, დაეკითხებიან ერთის შემაძრწუნებელის შემთხვევის შესახებ. ეს შემთხვევა შეეხება ერთს ჯარის-კაცს, რომელიც უფროსის მიერ დასჯის შემდეგ გარდაიცვალა. დამნაშავენი სამხედრო რჩევამ გაამართლა იმ საბუთით, რომ სასამართლომ ვერ აღმოაჩინა ნამდვილად, ვის მიუძღოდა ბრალი ამ საქმეში. მაგრამ ამისთანა საბუთს საზოგადოებამ ეჭვის თვალით შეხედა. საქმე ნათლად გამოაშკარავდება მაშინ, როდესაც სასამართლო ოფიციალურად გამოაცხადებს დაწვრილებითს ანგარიშს გასამართლებისას. ზოგიერთს გაზეთებს მოჰყავთ სასამართლოში ამ საქმის გარჩევის პროცესი და დასძენენ, რომ ჯარის კაცის სიკვდილი ბრალად ედება მთლად ბატალიონის უფროსსაო. ზოგიერთი გაზეთები-კი მთავრობას ემხრობიან და ამბობენ, რომ ამისთანა სასჯელი ბატალიონს დამყარებულ წესად ჰქონდა მიღებულიო. დამნაშავე სალდათებს ხშირად მიაბამდა ხოლმე ბოძზედ შეკრულის ხელ-ფეხით და როცა ტკივილებით შეწუხებული დაიწყებდა ყვირილს, პირში ქვას ჩაუდებდნენ ხოლმე. აი ამისთანა სასჯელით მოკვდა ხსენებული ჯარის კაციც. სასამართლომ აღმოაჩინა, რომ ამისთანა სასჯელი დივიზიის უფროსის ცირკულიარით აღკრძალული იყო, ხოლო ბატალიონის უფროსი მაინც ნებას აძლევდა ხელ-ქვევითთ ეხმარათ ეს სასჯელი. ამის შესახებ სამხედრო მინისტრს დაეკითხებიან.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, ამ წინაზედ განზრახვა ჰქონდათ იაპონიის პირველი მინისტრი იტო მოეკლათ. ამ შემთხვევის გამო აი, რას მოგვითხრობს გაზ. „დაილი ნუზ“-ის კორესპონდენტი მინისტრის იტოს შესახებ:

„გრაფი იტო მართლა უდიდესი სახელმწიფო კაცია იაპონიაში. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ იტოს სწორი არა ჰყავს, ხოლო საქმე, რომელიც მან 1894 წ. 1 აგვისტოს დაიწყო, ჯერ არ გათავებულა, რადგანაც კორეს საქმე არ დამთავრებულა და რუსეთი არ დასჯილაო. მიუხედავად ამისა, იტოს მტრებიც აღმოუჩნდნენ და განიზრახეს ადგილი დაეკარგვინებინათ. აი საქმე როგორ იყო: ომის შემდეგ ყველა, ვინც-კი სამსახური გაუწია საქმეს, სამხედრო იყო იგი თუ მოქალაქე, ჯილდოზედ წარადგინა კომისიამ. უმაღლესს ჯილდოზედ წარადგინა კომისიამ 7 სამხედრო და საზღვაო ოფიცერი და სამოქალაქო უწყებიდგან მხოლოდ გრაფი იტო, სხვა არავინ. იმპერატორმა ყველა დააჯილდოა და იტოსაც მარკიზობა უბოძა. პირველი მინისტრი ძალიან დააფიქრა ამ გარემოებამ: მიეღო ეს ჯილდო, უნდა მცხოვრებლებისათვის ეწყენინებინა, რომლის საყვარელი ბ-ნი მუტუსი და სხვა მინისტრებიც არ იყვნენ დაჯილდოებულნი; უარი ეთქვა და იმპერატორი უნდა გაეჯავრებინა და სამსახურისათვისაც თავი დაენებებინა. მაშინ გრაფმა იტომ ასე დაიხსნა თავი. აიღო და იმპერატორს უმდაბლესი თხოვნა მიართვა, ნება მიეცა ჯილდოზედ უარი ეთქვა; იმპერატორი მიჰხვდა საქმე რაში იყო და თხოვნის შესრულების მაგივრად დამატებითი სია გამოსცა იმ პირთა, რომელნიც დაჯილდოებულნი იქმნენ; ამ სიაში იყვნენ მოქცეულნი მუტუსი და სხვა მინისტრებიც. ამ რიგად მარკიზი იტო ისევ პირველ მინისტრად დარჩა და კვლავ არ აკლებს ყურადღებას ფორმოზის დაპყრობის საქმეს, სცდილობს ლიატონგის კუნძული გამოისყიდოს და ისე გააძლიეროს მხედრობა და ფლოტი, რომ, თუ რუსეთი იაპონიის საქმეში ჩაერევა, შეეძლოს საბრძოლად გამოიწვიოს.

„პირველი დრტვინვა რუსეთის წინააღმდეგ უკვე ჩაცხრა, რადგანაც ყველამ ერთხმად სცნო შეუძლებლად შეჭიდება. მაგრამ იაპონიას გარდაწყვეტილი აქვს შური ეძიოს. გაზეთების სიტყვით, ის 200.000.000 იენი სამხედრო კონტრიბუცია, რომელიც ჩინეთისაგან მიიღო, სრულიად სამხედრო ხომალდებსა და მხედრობის გაძლიერებას მოხმარდება, ხოლო მხედრობას მშვიდობიან დროსთან შედარებით 60.000-დგან 500,000 კაცამდე მიემატება, ასე რომ წლიური ხარჯი მხედრობასა და ფლოტზედ 60.000.000 იენით მომეტებული იქნება. სულ შემოსავალი აქვს იაპონიას 89.000.000 იენი და თუ ეს ხარჯი 60.000.000 იენიც მიემატა, მაშინ ხომ ურიცხვი მცხოვრებნი უნდა შევიწროვდნენ. ამიტომ ძნელია, რომ მთავრობა დასთანხმდეს და იკისროს ამ ხარჯის გაღება. მაგრამ იაპონელნი რომ მზად არიან არავითარის მსხვერპლის წინაშე არ შეჩერდნენ, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა და რუსეთის მდგომარეობა სრულიადაც არ არის შესაშური, თუ რომ ევროპაშიაც დაეხლართება საქმე, თუმცა იაპონია სრულიადაც არ დაუწყებს ცდას ასეთს გარემოებასაო“.

ამ ამბის გამო გაზეთი „დაილი ნუზ“-ი ამბობს:

როგორცა სჩანს, იაპონია მთელს ქვეყანას უპირებს ომში გამოწვევას; მაგრამ ეს მეორედ გაყმაწვილების მიზეზია. იაპონელთ კარგად ესმით გამარჯვების საიდუმლო რაში მდგომარეობს. იგი ყოველს გვარს საშუალებას ხმარობს ყველაფერი გადმოიღოს ევროპიდგან, რაც-კი სასარგებლოა და ახლა მეტოქეობასაც უპირებს ევროპის ვაჭრობას. როგორც ენსლის მოხსენებიდგანა სჩანს, იაპონია სცდილობს დიდ და სავაჭრო-სამრეწველო სახელმწიფოდ გარდიქმნეს. ამ მოკლე ხანში იაპონიამ ძალიან წინ წაიწია, ასე რომ ყველაფერს თავისას ხმარობს და სხვაგანაც აპირებს თავისის ნაწარმოების გატანას. დღეს მათ უკვე გააქვთ ინგლისში ქალისა და კაცის ქუდები, იატაკის ქაღალდი, შუშის ჭურჭელი, საპონი, ნავთი ქვის-ნახშირი და სხვანი, მაშინ როდესაც სულ რამდენიმე წლის წინად უცხო სახელმწიფოებიდგან გამოჰქონდათ. ერთი სიტყვით, იაპონია სულ სხვა სურათს წარმოადგენს დღეს და მალე იქნება ჩვენც დაგვიწყონ სწავლებაო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 სექტემბერი.

**სამარა.** პეტერბურგში გაემგზავრა გზათა მინისტრი.

**პარისი.** სამხედრო ჯგუფებში ხმა დადის, რომ გენერალი დიუშენი ტანანარივში უნდა მისულიყო 18, ანუ 19 სექტემბერს, მაგრამ ცნობა ამის შესახებ პარისში შეიძლება მიიღონ არა უადრეს 25—26 სექტემბრისა.

**ბუხარესტი.** რუსეთსა, ავსტრო-უნგრეთსა და რუმინიას შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც შეიცვალა ხელშეკრულობა 1886 წლისა მდ. პრუტში გემებით მიმოგზაურობის შესახებ.

**სოფია.** ნამდვილის წყაროებიდამ სჩანს, რომ სტამბოლში იმ აზრით მოახდინეს 18 სექტემბერს უწესოება, რომ გარეშე სახელმწიფოთა მიეღოთ ამ საქმეში მონაწილეობა. უწესოების ჩამდენთა მიაშურეს პორტას, ააფრიალეს ინგლისის ბაირაღი და ჰყვიროდნენ: გაუმარჯოს სომხეთის დამოუკიდებლობასაო! ყოველს დატუსაღებულს სომეხს აღმოუჩნდა დამბაჩი ინგლისის სისტემისა.

**ლონდონი.** გაზეთებში დასტამბულია სტამბოლიდამ მოწოდებული ცნობა იმის შესახებ, რომ აღწერილობა მხეცურის მოქმედებისა სასუნელის კომისიის მხრით გაზვიადებულია. საზოგადო რიცხვი სასუნთა ხეობის მცხოვრებთა 4000 სულს არ გარდემატება და ამ რიცხვიდამ ჯარმა არა ათასობით დახოცა, არამედ მხოლოდ 300—500 კაცამდეო.

შანჰაიდამ დეპეშით იწერებიან: ლიხუნგჩანგი, თანახმად ქვრივის იმპერატრიცის სურვილისა, გაემგზავრა პეკინში, რათა მასთან ერთად შეიმუშავოს პროექტი ადმინისტრატულის ცვლილებისა. უმთავრეს მუხლად პროექტისა აღნიშნულია გარდატანა სამეფო სამყოფისა პეკინიდამ სხვა, უფრო უშიშარს ალაგს ჩინეთის შუაგულ სამფლობელოისა.

პეტერბურგის ბირჟა, 22 სექტემბერი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდვე-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა | — „ | — „ | $213\frac{1}{2}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა | — „ | — „ | $99\frac{5}{8}$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა | — „ | — „ | $101\frac{1}{2}$ |
| 6% იმავე ბანკისა | $99\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა | $99\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | $98\frac{3}{4}$ | — „ |

### კერძო განცხადება.

წარსულს ივლისს „ივერიის“ შუამავლობით მე მივმართე ქართულის წიგნების გამომცემელს და გამყიდველს ფირმებსა, რათა მათ ეკისრათ საერთოდ, შეერთებულის ძალით, გამოცემა ჩემ მიერ განზრახულის საყმაწვილო და სახალხო წიგნებისა. მესამე დღესვე მომივიდა ქუთაისიდგან ბ-ნის ბეჟანეიშვილისაგან წერილი, რომლითაც იგი იკვეთავდა ათასს ცალს ექვსივე წიგნისასა და თან დასძენდა: თუ სხვა ქუთათური მაღაზია არ ინდომებს მეორე ათასი დაიკვეთოს, ამ მეორე ათასსაც მე ავიღებო. მის შემდეგ დაიკვეთა ბ-ნმა თავართქილაძემ ათას ორასი ცალი, ბ-ნმა ჭილაძემ ათასი და ბ-ნმა ხეთერელმა—ხუთასი. უკანასკნელის დაკვეთას ვერ მივიღებ, რადგანაც მაშინდელის პირობის ძალით ათასზედ ნაკლების დაკვეთა არ შეიძლებოდა. ვერც სხვებს გავუგზავნი იმდენს, რამდენიც დაიკვეთეს. საქმე ისაა, რომ გადავწყვიტე თავაზიანობისათვის თავაზიანება გავუწიო, საქმე უფრო კიდევ გავუადვილო და ჯერ-ჯერობით ვბეჭდო არა 6,000 არამედ 3600 ცალი. ეს რიცხვი საკმარისია ხარჯის გასასტუმრებლად. რაც შეეხება ავტორის გონორარს, იგი უნდა გადაიდოს იმ დროსათვის, როდესაც ხელ-მეორედ დაიბეჭდება წიგნები და იაფად დაჯდება, რადგანაც სურათებზედ ხარჯი აღარ მოგვივა. ბ-ნნი ბეჟანეიშვილი, თავართქილაძე და ჭილაძე მიიღებენ თითო რვა ასს ცალსა პირველის წიგნისასა: „ივანანამ რა ჰქმნა“, რომელიც დასურათებულია რვა სურათით და რომელიც ამ თვის ბოლომდე დამზადდება დასარიგებლად და გასაგზავნად. მეორე წიგნი „თავდადებულნი ქართველნი“, აგრეთვე დასურათებული რვა სურათით, მიუვათ საშობაოთ, თანახმად თავ-დაპირველის დაპირებისა.

ვთხოვ ჩემ მხრივ ხსენებულსა და სხვა ფირმებსაცა ხელი მოუმართონ აგრეთვე ბ-ნს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს, რომელიც აგრეთვე შეუდგა სახალხო სურათებიანი წიგნების გამოცემასა. ეს ისეთი ფართო ასპარეზია, რომ ოცობითაც რომ გამოვიდნენ მომქმედნი, განათლების წყურვილს მაინც სრულიად ვერ დაუკმაყოფილებენ ჩვენს ხალხსა, გონებრივად დამშეულსა.

იაკობ გოგებაშვილი.



## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. ხარიტონ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში

ცხოვრება

მეფე გიორგისა

აღწერილი

პლატონ იოსელიანის მიერ.

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი ერთი მანეთი.